პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 მარტი, კვირა, 1989 წ.
№ 54 (9973) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)

იხ. მე-3 გვ.

პირჩიეს სახალხო დეპუტატებად

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში პირველად იქნებიან წარმოდგენილი, გასულ პარასკევს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მოსკოვში ჩაატარეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საზოგადოებრივი კონფერენცია. 800-ზე მეტი დელეგატი — აქტივისტები, სპორტსმენები, მწვრთნელები, სპეციალისტები მონაწილეობდა კენჭისყრაში. ექვსი კანდიდატიდან მათ სამისთვის უნდა მიეცათ უპირატესობა, კენჭისყრის შედეგად სპორტული საზოგადოებების ორგანიზაციებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან: ა. ა. აკენტიევი — ცსკა-ს ზამთრის სახეობათა ფილიალის ლვოვის ოლქის სპორტბაზა „ტისოვეცის“ უფროსი, ბ. ნ. როგატინი — პროფკავშირთა ნებაყოფლობით ფიზკულტურული და სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ს. სისოევი — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

კონფერენციამ დაამტკიცა დეპუტატთა განაწესი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტულ აქტივთან კანდიდატთა შეხვედრებში გამოითქვა და, რომლებიც შეივსო თვით კონფერენციაზე მსჯელობისას. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებად არჩეულთა მიერ ცხოვრებაში გასახორციელებელ მიზანთა შორის არის, მაგალითად, აი, ასეთიც, „მივაღწიოთ, რომ მიღებულ იქნას სსრ კავშირის კანონი ფიზიკური კულტურის შესახებ...“, „სრულყოთ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელობა...“, „მივაღწიოთ სპორტსმენებისა და მწვრთნელების სოციალური დაცვის გაძლიერებას“.

ქვეყნის საზოგადოებრივ სპორტულ ორგანიზაციათაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისიას, რომელსაც მეთაურობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევ იაშინი, ზუსტი და აქტიური მუშაობისთვის კონფერენციამ მადლობა გამოუცხადა.

(საკ. სის. კორ.).

ნატურგანის პირველი ოსტატები

სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენში ზამთრის სპორტის ახალი სახეობა — ნატურბანი (შეჯიბრება სპორტული ციგებით ნატურალურ ტრასებზე). ამ დღეებში საქართველოს წარგზავნილები წარმატებით გამოვიდნენ ქალაქ ზლატოუსტში (ჩელიაბინსკის ოლქი) გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში. 16 წლის ბაკურიანელმა სპორტსმენებმა თენგიზ აკოფოვმა და ზაზა ჯიჩოევმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ფილიქს ქუმარიტაშვილი) ორადგილიანი ციგების შეჯიბრებაში მეხუთე ადგილი დაიკავეს, რაც ამავე დროს საუკეთესო შედეგი იყო იუნიორთა შორის. თ. აკოფოვმა და ზ. ჯიჩოევმა ჩვენს რესპუბლიკაში პირველებმა მოიპოვეს სპორტის ოსტატობა ამ სახეობაში და ისინი საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს.

ეს წყვილი მალე (23-27 მარტს) მონაწილეობას მიიღებს მურმანსკში ტრადიციულ შეჯიბრებაში — „ჩრდილოეთის ზეიმი“.

„ლელოს“ კორ.



გროზნოში გამგზავრებამდე

თბილისში დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ბატუტზე ხტომაში, 1973 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შორის. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა სპორტსმენებმა. ინდივიდუალურ ხტომებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელმა ლია ბენდიანიშვილმა და ზაალ ხიზანიშვილმა. ამას გარდა ზაალ ხიზანიშვილმა, არამ საკიანთან ერთად, გაიმარჯვა სინქრონულ ხტომებშიც. გოგონათა შორის ოქროს მედლებს დაეუფლნენ დნეპროპეტროვსკელი ლარისა შერმანი და ლიუდმილა შულგა.

სულ მალე, 23 მარტს, ჩვენს სპორტსმენებს უფრო დიდი გამოცდა ელით — ქ.-გროზნოში გაიმართება საბჭოთა კავშირის პირველობა იუნიორთა შორის.

სურათებზე: ლია ბენდიანიშვილი, არამ საკიანი და ზაალ ხიზანიშვილი.

ვიქტორ ბუკინიხა და ჯემალ კახრაძის ფოტოები.

იასპარეზებენ ათ სახეობაში

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო მუშათა სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება სსრკ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა არჩევნების დღეს და საქართველოს პროფკავშირების პირველ სპარტაკიადას. უკვე დაიწყო შეჯიბრება სპორტის ათ სახეობაში, რომელშიც მონაწილეობენ შამპანწური ღვინოების, კონიაკის ქარხნების და აგრეთვე სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება საკვებარომატკომპლექსის გუნდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ქულა—დამატებით დროში

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 17 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 89:88 (81:81, 48:48).

„დინამო“: შენგელია (21), ჯაშაკიძე (19), დარსაძე (18), ტოუბინი (10), კოლიჩევი (8), სანაძე (5), კროპაჩოვი (4), ბოროდაჩოვი (2), ფერიაშვილი (2), უსტიაშვილი.

რტი: გრიშჩუკი (17), იაკუბენკო (15), პუსტოგვარი (15), პარფენოვიჩი (11), ბუზლიაკოვი (11), ჟოლნეროვიჩი (9), ველიდოკი (6), სლავნევსკი (4), კრიშჩუკი.

მსაჯები — ო. გორბატოვი (კუიბიშევი) და გ. ლუკიანენკო (ეისკი).



გუშინწინდელი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტი-ს შორის ბრძოლის სიმძაფრითა და დრამატიზმით მართლაც გამორჩეული იყო და მას, გულახდილად გითხრათ, ჩვენი კალათბურთელების მიერ ჩატარებულ ვერც ერთ ადრინდელ შეხვედრას ვერ შევადარებთ. საამისო მიზეზი ორთავე მხარეს საკმარისზე მეტი ჰქონდა. მაგრამ მთავარი, ალბათ მაინც, ამ კოლექტივების სატურნირო მეზობლობა და ინტერესთა ერთობლიობა იყო.

ყოველ შემთხვევაში იმას, რაც ამ დღეს კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ვიხილეთ, სხვას ვერაფერს ვუწოდებთ თუ არა მწვავე და უკომპრომისო კალათბურთს. მიზანი, როგორც უკვე ვთქვით, ორივე მეტოქეს ერთნაირი ჰქონდა და გზაც ამ მიზნის მისაღწევად მსგავსი აირჩიეს. სწორედ ამის გამო ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე ერთნაირი ხერხებითა და საშუალებებით მიმდინარეობდა და სავსებით ლოგიკური იყო, რომ მისი ბედი მხოლოდ დამატებით დროში გადაწყდა.

პირველი ნახევრის მაქსიმალური სხვაობა 7 ქულას შეადგენდა თბილისის დინამოელთა სასარგებლოდ (მეჩვიდმეტე წუთზე — 41:34). მაგრამ სამი წუთი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ანგარიშის გასათანაბრებლად — 48:48.

სტუმრებმა წინა დღის მარცხის მიზეზი, როგორც ჩანს, თავისებურად გააანალიზეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პირველ ყოვლისა საჭირო იყო დაცვის გამძაფრება. მაგრამ ჯარიმების ზღვარზე თამაშს ერთი არსებითი ნაკლი აჩქმალა — ძნელი, ძალზე ძნელი დასადგენია როდის ირღვევა წესი და როდის არა.

დასაწყისში (ლაპარაკია მეორე ტაიმზე) ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა გარკვეული შედეგი გამოიღო. ყოველ შემთხვევაში, „დინამო“ არ ელოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას, მოუმზადებელი შეხვდა მეტოქეს და მას დაწინაურების საშუალება მისცა. 25-ე წუთისთვის სხვაობამ 9 ქულა შეადგინა, მაგრამ ახლა უკვე მინსკელთა სასარგებლოდ. ეს ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდისთვის ალბათ ყველაზე მძიმე წუთები იყო.

მაგრამ ნათქვამია, როგორც გინერდეს ისე გილხინდესო. „დინამო“ იძულებული გახდა მიეღო გამოწვევა, თუმცა ასეთი თამაში მის გეგმებს არ შეესაბამებოდა. 32-ე წუთზე ხუთი პერსონალური შეცდომის გამო მოედანი დატოვა მინსკელმა იაკუბენკომ (ასე იცის ჯარიმის ზღვარზე თამაშმა). მისი გასვლა თამაშიდან „დინამოსათვის“ დიდი შვება იყო, რაც მაშინვე დაეტყო ანგარიშს.

ძირითადი დრო ფრედ 81:81 დამთავრდა და მან, დასამალი რაა, დიდი ფიზიკური და ნერვული ენერგია წაიღო. დამატებით ხუთ წუთში ორთავე გუნდი მოქანცული, იყო და შეცდომებიც უფრო გახშირდა, მაგრამ მასპინძლებმა შესძლეს მინიმალური ოდნავ შესამჩნევი უპირატესობის მოპოვება და მსაჯის საფინალო სასტვენამდე იგი შეინარჩუნეს კიდეც.

ნ. გუგუშვილი.

• • •

...და კიდევ მატჩი

რიგა. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ვეფ-ი და ლენინგრადის „სპარტაკი“. გამარჯვება მოიპოვეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 93:84 (48:37).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

„დინამო“ (მ.)	38	21	17	59
ახკ (ალმა-ათა)	34	23	11	57
„ხტროიტ.“ (კ.)	30	24	6	54
„ხტატიბა“ (ვილ.)	34	17	17	51
„დინამო“ (თბ.)	36	15	21	51
„უალგ.“ (კაუნ.)	26	24	2	50
ცსკა	29	20	9	49
„კალევი“ (ტალ.)	30	15	15	45
რტი (მინსკი)	30	13	17	43
ვეფ (რიგა)	36	7	29	43
„შახტ“ (დონ.)	32	8	24	40
„სპარტ.“ (ლენ.)	33	7	26	40

შრომითი კოლექტივის ნებით

ჩვენს რესპუბლიკაში პირველი შემთხვევაა, როდესაც სპორტული ბაზის ხელმძღვანელი კოლექტივმა აირჩია.

სამი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი თბილისის სპორტის სასახლის დირექტორის თანამდებობაზე: ქალაქის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი ზაალ ბარათაშვილი, სპორტის სასახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ ლომიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი მურმან ტყეშელაშვილი. სამივე კანდიდატი შეკრებილთა წინაშე პირადი, მოკლე საპროგრამო ანგარიშით გამოვიდა. ფარული არჩევნების წინ მ. ტყეშელაშვილმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ხმების უმრავლესობით, თბილისის სპორტის სასახლის დირექტორად აირჩიეს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ ლომიძე.

ახალმა დირექტორმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი უმთავრესი ამოცანაა სპორტის სასახლის გადაქცევა ჰეშმარიტ კულტურულ-დასასვენებელ ცენტრად, ახალგაზრდობის თავშეყრის საყვარელ ადგილად.

— აქ უნდა იმართებოდეს არა მხოლოდ შეჯიბრებები, არამედ სხვადასხვა სახის სპორტული ზეიმები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, აგრეთვე მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები. სპორტის სასახლის კარები პრაქტიკულად არ უნდა იკეტებოდეს“. — დაასკვნა თ. ლომიძემ.

ჭოკით ხტომის, ტანვარჯიშისა და... ჩაის შესახებ

ერთი დეტალი თავდაპირველად: ამ მასალაზე მუშაობა რომ დავიწყეთ, ჩვენი ოპონენტი დოცენტი იყო, სულ რამდენიმე დღეში კი პროფესორობა „მოიპოვა“. ვულოცავთ აკაკი დოკვაძეს ამ მაღალ სამეცნიერო წოდებას და ჩვენს მკითხველს „ზეიმის მიზეზთან“ დაუსწრებელ შეხვედრას ვთავაზობთ.

● ბატონო კაკო, თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ მოხვედით ფიზკულტურახა და სპორტში?

— გუშინდელივით მახსოვს ის „ფეხბედნიერი“ დღე: ათი წლის მოუსვენარი ბიჭუნა დედაჩემმა ჟაშქვიდან დილაადრიან მეზობელ სოფელში — სხიერში წამიყვანა. ბარე რვა კილომეტრი ვიარეთ ფეხით ტყის ბილიკებით. გვეგონა, რომ დღესასწაულზე ყველაზე ადრე ჩავიდოდით, მაგრამ... მთელი რაჭა იქ დაგვხვდა —სხიერობაზე ჩამოსულიყვნენ ონიდან, კვაშხიეთიდან, ზვარეთიდან, ქრისტესიდან, ცხმორიდან, შქმერიდან. სოფლის ეკლესიის გალავანი ხალხით იყო სავსე. ასეთი რამ არასოდეს მენახა. გოგობიჭები ჩვენებურ „ნაცვლიას“ ცეკვავდნენ, მოხუცები „უცხაურ მოლაპარაკეს“ — რადიომიმღებს შემოსხდომოდნენ, ფარახელები თავიანთი გუდასტვირით ამოსულიყვნენ, ონის სახანძრო რაზმის სასულე ორკესტრი საკუთარ „დუხვაოი მუზიკას“ უკრავდა, ეკლესიაში კი „პროექტორს“ უშვებდნენ — კინოფილმ „წითელ ეშმაკუნებს“ აჩვენებდნენ. დიდ ინტერესს იწვევდა ცხენების შეჯიბრება — ჯირითი, მაგრამ მთავარი თურმე წინ იყო... ონიდან ამოსულ ათამდე ზოლიან მაისურებში გამოწყობილ ჭაბუკს მდელოზე თავა გაეშალა და სამმეტრიანი ჭოკით თავს ევლებოდა ბარე ორ მეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას. ყველას ძმებმა რუხაძეებმა აჯობეს. ძალიან მომეწონა ახალი შეჯიბრება. მერე უამქვაში მეც ვცადე ჭოკით ხტომა. არაჯერი გამომივიდა, გარდა იმისა, რომ გვერდები დამებეგვა და ხელ-ფეხიც ვიღრძე. მაინც არ ვეშვებოდი. 1928 წლის პირველ საკავშირო სპარტაკიადის დღეებში შემოვიდა ჩვენში მძლეოსნობის ეს ახალი სახეობა, რომელსაც შემდგომ რესპუბლიკაში კარგი „შემსრულებლები“ გამოუჩნდა: თემო მაჩაბელი, ლევან დათაშვილი, ბორის დიაჩკოვი, მარტინ კუტმანი, ბოლოს კი — ბონდო გველესიანი...

● მერე თქვენს „პირველ სპორტულ სიყვარულს“ ულალატეთ და ტანვარჯიშს მოჰკიდეთ ხელი...

— ონი, სადაც მე სოფლიდან მეხუთე კლასში გადამიყვანეს სასწავლებლად, იმ დროისათვის, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგი სპორტული ქალაქი იყო. აქ ფიზკულტურისა და სპორტის ნამდვილი ენთუზიასტები ცხოვრობდნენ — მოქანდაკე ილო კერესელიძე, ექიმი მიხეილ მიქაძე, მასწავლებელი გიორგი კირვალიძე. მთელი ახალგაზრდობა აიყოლიეს. განსაკუთრებით გვიყვარდა ბულვარზე დადგმულ ღერძზე ვარჯიში. სწორედ ამ ღერძზე „აიდგეს ფეხი“ პავლე რომანიშვილმა და გიორგი ჭილაიამ. პავლე რომანიშვილი, რომელიც ტანვარჯიშის სამყაროში „ტაიჩის მეფის“ სახელით იყო ცნობილი, ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 1938 წელს კიევში, გიორგი ჭილაია კი — რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი იყო. ცხადია, ახალგაზრდები მხოლოდ ტანვარჯიშით არ ვიყავით გატაცებული. დაიჭერდა თუ არა ყინვას ონში, ბიჭები თვითნაკეთ ციგურებზე შევდგებოდით და დაბინდებამდე შინ აღარ შევდიოდით, სოფელში ჩასული კი თანატოლებთან ერთად ასევე საკუთარი ხელით გაკეთებული მოცლე, ხელკავიანი თხილამურებით ვსრიალებდით.

● ნამდვილ ტანვარჯიშს როგორ ეზიარეთ?

— ეს უკვე 1932 წელს იყო, როდესაც თბილისში ჩამოვედი. კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმში ჩავირიცხე და ტანვარჯიშის სექციას მივაშურე სულხან-საბას ქუჩაზე. სპორტის დამსახურებული ოსტატი კოკა მეიფარიანი გვავარჯიშებდა. აქ იყვნენ კოკა თაყაიშვილი, სიმონ ბალიაშვილი, დიმიტრი ახვლედიანი და სხვა ნიჭიერი მოვარჯიშენი. მოგვიანებით, უკვე ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლისას, ჩემი მწვრთნელი თვით გიორგი ბაბილოძე გახლდათ.

● თქვენი პირველი გამოხვლა ოფიციალურ შეჯიბრებაში?..

— 1936 წელს ოდესაში კავშირგაბმულობის მუშაკთა პირველი საკავშირო სპარტაკიადა გაიმართა. მეორეთანრიგოსან ტანმოვარჯიშეებთან ვასპარეზობდი და მეორე ადგილზე გავედი. სხვათა შორის, ოდესაშივე მძლეოსანთა შეჯიბრებაში თბილისელმა დიმიტრი იოსელიანმა, ხუმრობით „რწყილს“ რომ ვეძახდით, იმ დღეებში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა ადგილიდან სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. მანვე იქვე აღმოაჩინა უნიჭიერესი ათლეტი ნინო დუმბაძე (იგი ოდესის „პიშჩევიკის“ ღირსებას იცავდა). მომავალი მსოფლიოს რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში მალე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. 1937 წელს სპორტსაზოგადოება „მოლნიას“ (იყო ასეთიც!) ტანმოვარჯიშენი საკავშირო პირველობაზე შეეკრიბეთ როსტოვში. მე უკვე პირველთანრიგოსნებში გამოვდიოდი, აქაც მეორე ადგილი მოვიპოვე. შემდეგ წელიწადს მოსკოვში ვიასპარეზე პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაზე. ამჯერად პრიზიორებშიც ვერ მოვხვდი — ვარჯიშის შესრულებისას ტაიჩიდან გადმოვვარდი. მეგობრები მეხუმრებოდნენ: „რას მიძვრებოდი ეს რაჯველი კაცი ამ გაუხედნავ მეგრულ ცხენზე!..“



● როგორ წარიმართა შემდგომში თქვენი საქმიანობა ფიზკულტურახა და სპორტში?

— ტანვარჯიშში მწვრთნელად მუშაობა ჯერ კიდევ ომამდე დავიწყე — უკვე ხსენებულ „მოლნიაში“ ვავარჯიშებდი სექციას. მერე აქვე ვხელმძღვანელობდი სასწავლო-სპორტულ განყოფილებას, ბოლოს კი, 1949 წელს, ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ამირჩიეს. მოგვიანებით „ბურევესტნიკისა“ და „კოლმეურნის“ თავმჯდომარე გავხდი. 1952-1954 წლებში საორგანიზაციო განყოფილებას ვხელმძღვანელობდი რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტში, რომელსაც მაშინ ალექსანდრე ფარულავა ედგა სათავეში.

● სამეცნიერო მუშაობას რა დროიდან ეწევით?

— 1958 წლიდან დავიწყე მუშაობა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი ჩიქვაიძის ხელმძღვანელობით. 1967 წელს ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტში დავიცავი დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დღეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვისა და ისტორიის კათედრის გამგე ვარ, გამოვაქვეყნე ასზე მეტი ნაშრომი, მონიჭებული მაქვს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

● ვიცით, რომ სტუდენტებს მუდამ მოუხარიათ თქვენს ლექციებზე. იხიც გაგვიგონია, რომ ძალიან გიყვართ იუმორი, ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრება, ალბათ ზოგჯერ თავადაც გამხდარხართ მეგობრული ოხუნჯობის ობიექტი. იქნებ ერთი ასეთი შემთხვევა მაინც გაიხსენოთ, მით უფრო, რომ ინტერვიუ, ვგონებ, საკმაოდ სერიოზული გამოგვივიდა...

— მოგეხსენებათ, ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლდათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებ ღონისძიებების დანერგვის საკითხი ჩაის მკრეფავთა შორის... ჰოდა, ჩემი მეგობრებიც ხუმრობდნენ: რაც კაკოს რეკომენდაციით მეჩაიე ქალებმა ფიზკულტურასა და სპორტს მოჰკიდეს ხელი, ჩვენი ჩაის ხარისხი მკვეთრად დაეცაო!

...შვიდ ათეულ წელს გადაცილებული პროფესორი აკაკი დოკვაძე ნაყოფიერად განაგრძობს სამეცნიერო მოღვაწეობას, ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

დაე, მუდამ ასე ლაღად, ალალმართლად და გულისხმიერად ეცხოვროს და ემოღვაწეოს ჩვენს ჰარმაგ მეცნიერს — ფიზკულტურისა და სპორტის მოამაგესა და ერთგულ პროპაგანდისტს.

ოთარ ნოზაძე.

ს უ რ ა თ ზ ე: ასეთი იყო აკაკი დოკვაძე ოცი წლისა (ფოტო გადაღებულია 1938 წელს მოსკოვში, ტანვარჯიშში პროფკავშირთა საკავშირო პირველობაზე).

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

SOS ერის ბიბლიოთეკა

სკოლა უმოქმედოდ?

კახპის რაიონის სოფელ სახირეთის საშუალო სკოლაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს ჩემპიონებიც აღზრდიან. სკოლის სპორტსმენთა აღზრდას ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ს. ბაბტაძე, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს ახალგაზრდა თაობის ფიზიკური წრთობისათვის, მაგრამ საწყენია, რომ მას ხელს არავინ უწყობს.

სკოლის ღია სპორტული მოედანი მოსწავლეთა მოთხოვნებს საშუალოდ აკმაყოფილებდა. მერე ამ მოედნის ერთი ნაწილი „სამხედრო ქალაქის“ მოხაწყობად გამოიყო, მაგრამ გათხრის დროს სამარხებს წავაწყდით.

ამავე სოფელში მომუშავე არქეოლოგებმა, ბუნებრივია, მოედანზე შეხვლა აგვიკრძალეს და გათხრები დაიწყეს. მოედანი მთლიანად გადაითხარა.

სანაცვლო ადგილის გამოყოფის თაობაზე ვის აღარ მივმართეთ: კოლმეურნეობისა და ფიზკულტურელთა თავკაცებს, აგროსამრეწველო გაერთიანებას, რაიხაბჭოს აღმასკომს, პარტიის რაიკომს, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. მოედნისთვის ადგილის გამოყოფის საქმეს ხაშველი არ დაადგა.

ხახირეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის ხაბჭოს ხახელით პ. ბამულაშვილი, ხ. ბეჭიტაშვილი, კ. ჭალიშვილი, შ. ბაგლოშვილი, ზ. დემეტრაშვილი.

კასპის რაიონი.

მერანი
ფასი 10 კაპ.
„მერანი“ № 7

გამოვიდა გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-7 ნომერი. დამატება იხსნება თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის მოკლე მიმოხილვით. პირველივე გვერდზე ფოტოჟურნალისტი ჯემალ კასრაძე მკითხველებს სთავაზობს ამ შეჯიბრების ფოტორეპორტაჟს.

გვიან გამრეკელის წერილში „შედეგები და პერსპექტივები“ განხილულია „მსოფლიო თასის“ გათამაშების მონაწილეთა სადღეისო მდგომარეობა და პერსპექტივები.

წერილით „თქვენი სვლაა, მკითხველო!“, რედაქცია თავისებურ კონკურსში მონაწილეობისთვის იწვევს მკითხველებს. ამ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ჭადრაკის ყველა გულშემატკივარს.

ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი ლაშა ჯანჯღავა ჭადრაკის მოყვარულთ სთავაზობთ ახლახანს თბილისში ჩატარებულ ოსტატ ვაჟთა საკავშირო პირველობის თეორიულ მიმოხილვას.

„ფიდე-ს სამდივნო იუწყება“ — ამ რუბრიკით რედაქცია ბეჭდავს ფიდე-ს სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ საინტერესო ინფორმაციებს.

„მერანის“ ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა ახალ ნამუშევრებს, რომლებმაც პრიზები მოიპოვეს სხვადასხვა კონკურსებში.

„მერანში“ დაბეჭდილია, აგრეთვე, უცხოეთის საჭადრაკო ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები.

კვირიდან კვირამდე

„ბრავდა“ — 14 მარტი. „ფინიში? არა, სტარტი“. სსრ კავშირის სპორტსახკომმა შეაჯამა საბჭოთა კავშირისა და კანადის ქალაქების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი შეჯიბრებების შედეგები.

„იზვესტია“—14 მარტი. „ითამაშებს თუ არა ფეტისოვი ნაკრებში?“ — ეს საკითხი ბევრს აინტერესებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

17 მარტი. „ვინახავთ გულიტს?“ აუცილებელი წინასიტყვაობა სსრ კავშირისა და ჰოლანდიის მატჩის წინ.

„სოვეტსკი სპორტი“ — 14 მარტი. „ანგარიში წავა მილიარდებზე“. იტალია ელოდება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში. ინტერვიუ ორგკომიტეტის წევრთან ჯან პაულო სეგალასთან.

15 მარტი. „ბურთი და ყაზარმა“. როგორ გადიან სამხედრო სამსახურს პროფესიონალი ფეხბურთელები?

16 მარტი. „ჰაუპტვახტამდე მიგორებული ბურთი“. ერთი სკანდალური ისტორიის კვალდაკვალ.

18 მარტი. „განშორება კონტრაქტით“. გაზეთის კორესპონდენტის შარშრუტია ტულუზა-ტურინი-სევილია, სადაც კონტრაქტის თანახმად სამი საბჭოთა ფეხბურთელი თამაშობს.

ახალი საკავშირო რეიტინგები

საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ გამოაქვეყნა საბჭოთა დიდოსტატ და ოსტატ ქალთა და ვაჟთა ახალი ინდივიდუალური კოეფიციენტები. გთავაზობთ დაწინაურებულ დიდოსტატთა და საქართველოს მოჭადრაკეთა რეიტინგებს:

ქალები: მაია ჩიბურდანიძე — 2479, ნანა იოსელიანი — 2448, ნონა გაფრინდაშვილი, ელენა ახმილოვსკაია — 2423-2423, ირინა ლევიტინა — 2382, მარტა ლიტინსკაია — 2361, ნანა ალექსანდრია — 2344, ქეთევან არახამია — 2342, ნინო გურიელი — 2322, ზოია ლელჩუკი — 2319, ლიუდმილა ზაიცევა — 2309, სვეტლანა მატვეევა — 2304, ქეთევან კახიანი — 2291, ციალა ქალოშვილი — 2225, ნინო მელაშვილი — 2203, თამილა მესხი — 2196, თამარ ხუბაშვილი — 2186, მზია წერეთელი — 2176, ჰენრიეტა ლაგვილავა — 2173, ქეთევან მელაშვილი — 2143, ციური კობაიძე — 2142, ციცინო კახაბრიშვილი — 2138, სოფიკო ტერელაძე — 2112, ალა ჩაიკოვსკაია — 2080.

ვაჟები: გარი კასპაროვი —2779, ანატოლი კარპოვი — 2751, ალექსანდრე ბელავსკი — 2644, ვალერი სალოვი — 2625, მიხეილ ტალი — 2624, არტურ იუსუპოვი — 2615, ლევ ფსახისი — 2605, რაფაელ ვაჰანიანი — 2604, ვასილი ივანჩუკი — 2603, იან ელვესტი, ლევ პოლუგაევსკი — 2599-2599... ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2564... ელიზბარ უბილავა — 2531... თამაზ გიორგაძე — 2510... ედუარდ გუფელდი — 2492, გენადი ზაიჩიკი — 2487, გია გიორგაძე — 2484, ზურაბ სტურუა — 2450, ლაშა ჯანჯღავა — 2445, ბუხუტი გურგენიძე — 2366, იგორ ეფიმოვი — 2353, ზურაბ მიქაძე — 2338, გია ბალათუროვი — 2320, თამაზ ტაბატაძე — 2280, იური ჩიქოვანი — 2272, ალექსანდრე ბოკუჩავა — 2258, როლანდ იაკობაშვილი — 2160.

ჭადრაკი — ჭადრაკი

ორი ლიდერი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ქალთა 45-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატს 12 ტურის შემდეგ 9 ქულით სათავეში მოექცა თბილისელი ოსტატი ნათია ჯანჯღავა. ყოფილ ლიდერს, ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ეკატერინე ფაბიროვას 8,5 ქულა და ერთი არასასურველ პოზიციაში გადადებული პარტია აქვს. შემდეგ მოდიან: ციალა ქალოშვილი — 8 (1), ნინო ხურციძე — 7,5 (1), ლია სადუნიშვილი — 7,5, თამილა მესხი, ვეტა კურცხალია — 7-7... XII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების — ჯანჯღავა-სადუნიშვილისა და ლაგვილავა-ფაბიროვას პარტიები. პირველ შეხვედრაში, დაახლოებით თანაბარი შანსებით, ორმხრივი ციატნოტი აღინიშნა, მაგრამ ჯანჯღავამ კარგი გეგმა აირჩია, ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგო და მეტოქემ სათი გაიჩერა.

ორი ქუთაისელი მოჭადრაკის — ლაგვილავა-ფაბიროვას შეხვედრაში თავიდანვე უკეთესი პოზიცია პირველს ჰქონდა. გადადებულ პარტიაში მას ზედმეტი პაიკი აქვს. ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: კობაიძე-მერეკლიშვილი — 0,5:0,5, ალიხანაშვილი-მელაშვილი — 0:1, ეძგვერაძე-თანდაშვილი — 0:1, ტერელაძე-კურცხალია — 0,5:0,5, ზუგაშვილი-მესხი — 0,5:0,5, ჯანჯღავა-სადუნიშვილი — 1:0. არ შედგა ქალოშვილ-თვაურის პარტია.

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მათი შედეგები: **VII ტური:** ქალოშვილი-კობაიძე— 1:0, **VIII ტური:** ალიხანაშვილი-ხურციძე — 0:1, **IX ტური:** ჯანჯღავა-კობაიძე — 0.5:0,5, თვაური-ტერელაძე — 0:1, სადუნიშვილი-ზუგაშვილი — 1:0, **X ტური:** ქალოშვილი-ფაბიროვა — 1:0.

თამარ ჭიაბერაშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1 (1:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 18 მარტი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, თეთრაძე, თედეევი, გ. ჯიშკარიანი, ფანცულაია, ცავა, კაჭარავა (გოგიჩაიშვილი, 70), ქვაცხავა.

„ლოკომოტივი“: ბიჭკევი, გოლოვნია, გორლუკოვიჩი, სოლოვცოვი, კალაიჩევი, გორკოვი, ატაულინი, გალაკბეროვი, სუროვი, რუხიაევი, ყიტკოვი.

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

გააფრთხილეს გორკოვი.

მეორე ტურის მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივთან“ უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდისთვის ძალზე ძნელი იქნებოდა. ბრძოლა საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე, თავისთავად, განსაკუთრებით დაძაბული და უშეღავათოა, მაგრამ ლოკომოტიველები ამ ტურში რომ საგანგებო მობილიზებით ითამაშებდნენ, ეს ცხადი იყო. პირველ ტურში მათ ნამდვილი სკანდალური მატჩი წააგეს დონეცკში, იმ დღეს მოსკოველებს ფრიად რთულ პირობებში მოუხდათ ბრძოლა „შახტიორთან“, ბრძოლა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როცა ორივე გუნდის 5 მოთამაშე გააფრთხილეს, მათ შორის ლოკომოტიველები გორლუკოვიჩი და კალაიჩევი, მატჩი „შახტიორთან“ რომ არაორდინარული იყო, ამას ნათლად მოწმობს ის შეფასებაც, რომელიც კიშინიოველ მსაჯს ა. გორინს დაუწერეს — „2“.

„ლოკომოტივს“, მას შემდეგ რაც იგი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა, გარკვეული პრეტენზიები აქვს, ამის დამტკიცებას გუნდი ყოველ მატჩში ცდილობს, შეეცადა იგი თბილისშიც.

თამაშის დასაწყისში, პირველი 10 წუთის განმავლობაში, თბილისელებს სრული, უდავო უპირატესობა ჰქონდათ. „დინამოს“ თავდამსხმელები და ნახევარმცველებიც გამუდმებით მეტოქის ნახევარზე იბრძოდნენ, შეტევა იყო სწრაფი, გამართული, ტემპიანი, იერიშებში ფეხბურთელთა დიდი ძალები მონაწილეობდნენ. მეკარე ბიჭკევის პირველ წუთებზე მძიმე სამუშაოს გადატანა მოუხდა, მეტოქის შეტევის მოგერიებისას მას შეცდომებიც მოუვიდა და როცა მე-11 წუთზე თედეევმა ძლიერად დაარტყა, ბიჭკევმა ვერ შეაჩერა ბურთი და იგი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

დასაწყისი „დინამოსთვის“ საუკეთესო გამოდგა. მთელი გუნდი საიერიშოდ იყო განწყობილი, მაგრამ „ლოკომოტივმა“ გაშვებული ბურთის შემდეგ მკვეთრად შეცვალა თამაშის ტაქტიკა. ჯერ ერთი, ფეხბურთელები გააქტიურდნენ და მჭიდროდ „აიყვანეს“ დინამოელი თავდამსხმელები, მერე კი სრული ძალით ამოქმედდა გუნდის მთავარი ძალა — გორლუკოვიჩი, კალაიჩევი, ატაულინი, რუსიაევი. თბილისელთა პირველი უპირატესობა თანდათან კლებულობდა, შუა ტაიმში კი ბრძოლა გათანაბრდა და უკვე სტუმრებს მიეცათ რამდენიმე მეტად სახიფათო კონტრიერიშის განვითარების საშუალება.

ერთ-ერთი ასეთი კონტრიერიშისას, 30-ე წუთზე, „დინამოს“ მცველებმა ვერ შეაჩერეს გარღვევაზე სწრაფად გასული ყიტკოვი, მან საჯარიმო მოედნის მარცხენა ფლანგიდან, საკმაოდ ახლო მანძილიდან დაარტყა და ბურთი თბილისელთა კარში აღმოჩნდა — 1:1.

დინამოელებმა შესვენებამდე ვეღარაფრით ვერ შეძლეს დაკარგული ინიციატივის დაბრუნება, ტაიმის ბოლომდე მინდორზე შესაჩნევი უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია.

მეორე ტაიმში ძალთა ეს თანაბრობა კიდევ უფრო ცხადი შეიქნა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრს მოძრაობდნენ, ბევრს ცდილობდნენ, ენერგიას არ აკლებდნენ, მაგრამ მათს თამაშში ბრძოლისუნარიანობა, ძალისმიერი მანევრები და აქტიურობა გაცილებით უფრო მეტად ჩანდა, ვიდრე თამაშის მაღალი კლასი. ამიტომაც სანახაობრივი თვალსაზრისით, სპორტულად მაღალი ხარისხით მატჩი იმდენად არ გამოირჩეოდა, რამდენადაც ბრძოლის სიმწვავით. გახშირდა დარღვევები, მოთამაშეები ხშირად ჯგუფდებოდნენ, შეტევის მთელი სიმძიმე ცენტრალურ ზონაში ხორციელდებოდა, იშვიათი იყო კომბინაციები ღიად დარჩენილი მოთამაშეების გამოყენებით, დაცვის ხაზები შეერთებული ძალებით აშკარად სძლევდა თავდამსხმელთა ოსტატობას.

ამ ვითარებაში შორეული დარტყმებით რამდენიმეჯერ სცადა მიზნის მიღწევა თედეევმა, მაგრამ „ლოკომოტივის“ მეკარე ამ შემთხვევებში მოწოდებას სიმაღლეზე აღმოჩნდა. სტუმრები კვლავ მინდვრის შუაგულში ამჯობინებდნენ თამაშს, წინა ხაზზე მათ არ ჰყავდათ სწრაფი თავდამსხმელი, რომელიც თავის თავზე აიღებდა ინიციატორის როლს.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა, თუმცა მცირე ხნით, მაგრამ მაინც კვლავ შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, „ლოკომოტივის“ კართან საჯარიმო მოედანზე კვლავ დაძაბულობა იქმნებოდა, მაგრამ კარის აღების უშუალო მომენტები არ ჩანდა. საბოლოოდ, ფრე — მატჩის ლოგიკური შედეგია.

სხვა მატჩები

„დნეპრი“ — „ზენიტი“ 2:0

„დინამო“ მ. — „მეტალისტი“ 0:3

„პამირი“ — „ტორპედო“ 0:2

„ჩერნომორეცი“ — „როტორი“ 2:0

„შახტიორი“ — „ძალგირისი“ 1:0

მეორე ტაიმში ძალთა ეს თანაბრობა კიდევ უფრო ცხადი შეიქნა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრს მოძრაობდნენ, ბევრს ცდილობდნენ, ენერგიას არ აკლებდნენ, მაგრამ მათს თამაშში ბრძოლისუნარიანობა, ძალისმიერი მანევრები და აქტიურობა გაცილებით უფრო მეტად ჩანდა, ვიდრე თამაშის მაღალი კლასი. ამიტომაც სანახაობრივი თვალსაზრისით, სპორტულად მაღალი ხარისხით მატჩი იმდენად არ გამოირჩეოდა, რამდენადაც ბრძოლის სიმწვავით. გახშირდა დარღვევები, მოთამაშეები ხშირად ჯგუფდებოდნენ, შეტევის მთელი სიმძიმე ცენტრალურ ზონაში ხორციელდებოდა, იშვიათი იყო კომბინაციები ღიად დარჩენილი მოთამაშეების გამოყენებით, დაცვის ხაზები შეერთებული ძალებით აშკარად სძლევდა თავდამსხმელთა ოსტატობას.

ამ ვითარებაში შორეული დარტყმებით რამდენიმეჯერ სცადა მიზნის მიღწევა თედეევმა, მაგრამ „ლოკომოტივის“ მეკარე ამ შემთხვევებში მოწოდებას სიმაღლეზე აღმოჩნდა. სტუმრები კვლავ მინდვრის შუაგულში ამჯობინებდნენ თამაშს, წინა ხაზზე მათ არ ჰყავდათ სწრაფი თავდამსხმელი, რომელიც თავის თავზე აიღებდა ინიციატორის როლს.

მატჩის დასასრულს დინამოელებმა, თუმცა მცირე ხნით, მაგრამ მაინც კვლავ შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, „ლოკომოტივის“ კართან საჯარიმო მოედანზე კვლავ დაძაბულობა იქმნებოდა, მაგრამ კარის აღების უშუალო მომენტები არ ჩანდა. საბოლოოდ, ფრე — მატჩის ლოგიკური შედეგია.

სხვა მატჩები

„დნეპრი“ — „ზენიტი“ 2:0

„დინამო“ მ. — „მეტალისტი“ 0:3

„პამირი“ — „ტორპედო“ 0:2

„ჩერნომორეცი“ — „როტორი“ 2:0

„შახტიორი“ — „ძალგირისი“ 1:0

გამოსაფხიზლებელი წაგებით სეზონი დაიწყო

ცხენოსნობაში (კლასიკურ სახეობებში) ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასის გათამაშება ტრადიციული ზონალური ასპარეზობაა; ამ შეჯიბრებაზე შეიძლება შესრულდეს სპორტის ოსტატობა, ხოლო გამარჯვებულებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საკავშირო თასის გათამაშებაში. თუ საერთო შედეგებით, პრიზიორთა რაოდენობით ვიმსჯელებთ, თითქოს ასეთი პესიმისტური სიტყვები საფუძველი არც უნდა გვქონდეს. მით უმეტეს, რომ სტუმრებმა — აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებმა ყველა სახეობაში გამოიყვანეს კვალიფიციური მონაწილენი, ამიტომ ყოველ ცალკეულ შეჯიბრებაში გამარჯვება იოლი მოსაპოვებელი როდი იყო.

გაწვრთნილობაში (საშუალო პრიზი — №1 და №2) მხოლოდ პირველ შეჯიბრებაში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი სტუმარმა — სომხეთის წარმომადგენელმა ტანია პორტნოვამ (ცხენი პრიზი); ორივე ვარჯიშში და, ცხადია, საერთო ჯამითაც გამარჯვება საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა, ოსტატობის კანდიდატმა გელა სურგულაძემ (თრაკენული ულაყი მამბო, მწვრთნელი — იუნონა ჯოჯუა).

სამეიდის საველე გამოცდა მთელი ასპარეზობის დამამშვენებელი სანახაობა იყო. იგი ჩატარდა იპოდრომის მინდორზე, ძირითადად სასტიპლჩეიზო დაბრკოლებების ტრასაზე. თუმცა გამოცდა გაიოლებული იყო — ოთხი მონაკვეთიდან დარჩა მხოლოდ ორი — მესამე („II გზა“) და მეოთხე (კროსი 4160 მ-ზე) — იგი მაინც ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. მოიხსნა 10 მონაწილე — მათთვის გადაულახავი აღმოჩნდა „ბანკეტის“ მისასვლელის გარდიგარდმო ახლად დაყენებული მეორე დაბრკოლება, „ორძელი“ (№8). საქართველოს სპორტსმენები, გამოცდილებიც და ახალგაზრდებიც, აშ დღეს ნამდვილად საუკეთესოები იყვნენ. ამ სახეობაში მესამე დღის შეჯიბრებამ — დაბრკოლებათა გადალახვამ (სიმაღლე 120 სმ) საბოლოო კორექტივები შეიტანა ადგილების განაწილებაში. გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა დავით გაგლოევმა (საქართველოს სპორტსაბჭომის თბილისის საცხენოსნო ბაზა, წმინდა სისხლის ულაყი გულისტანი, მწვრთნელი — შალვა ჭაფოძე), მეორე ადგილზეა სამედ მუსაევი (აზერბაიჯანი, უკრაინული ულაყი პირუეტი), მესამეზე — ავაქ სამველიანი (ოჩამჩირე, გარდი, მწვრთნელი — ოთარ ნარმანია).

დაბრკოლებათა გადალახვა ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ცხენებისათვის ორ-ორ ასპარეზობად ჩატარდა — „გახსნის პრიზი“, „ახალგაზრდული თასი“ და „ამიერკავკასიის თასი“. ოღონდ ახალგაზრდა ცხენების და მათი მხედრების საპრიზო ადგილები ორი კონკურის შედეგების საერთო ჯამით გამოვლინდა. „ახალგაზრდულ თასზე“ (სიმაღლე 130 სმ-მდე) კვლავ დაბვეწილად იარა გამოცდილმა ოსტატმა ვლადიმერ თუაევმა (ცასარი), ასევე უჯარიმოდ, გაბედულად გამოვიდა ოჩამჩირელი ოსტატი თამაზ ჯღარკავა (ხალკაბადი), საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა მამუკა რევიშვილმა (სპარტა, განათლების სამინისტროს საცხენოსნო სკოლა, მწვრთნელი — ზურაბ დუნდუა) 12 საჯარიმო ქულა მიიღო. საპრიზო ადგილები სწორედ ამ თანამიმდევრობით განაწილდა. უფროსი ასაკის ცხენებით „გახსნის პრიზზე“ იმედიანად გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი რაზმან ლაგვილავა (ზუგდიდი, ტექნიკი). მან შეუცდომლად გაიარა მთელი მარშრუტი და გაუსწრო კიდეც სამედ მუსაევს (4 საჯარიმო ქულა) და საკ ოჰანესიანს (5,65, სომხეთი). მაგრამ მეორე კონკურში ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ცხენებისა და სპორტსმენების გამოსვლა უკვე საგანგაშო იყო. და, მართლაც, ასპარეზობის ბოლო დღეს, როდესაც კონკურისტთა წინაშე აღიმართა „ამიერკავკასიის თასის“ სერიოზული დაბრკოლებები (150 სმ-მდე), აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის ნაკრების ცხენები არ ყოფილან მზად ასეთი სიძნელის დასაძლევად! ლაგვილავამ ორი გიტის ჯამში 45 საჯარიმო ქულა „აკრიფა“, ოსტატობის კანდიდატმა ვამეხ გაჩეჩილაძემ (დრაგუნი) — 39,25; პირველ გატში ფოთელი ოსტატობის კანდიდატი რუსლან კვარაცხელია (გისტი) 49 ქულით დაჯარიმდა, მეორეში საერთოდ მოიხსნა, მოიხსნა ჯღარკავაც (ფურტი); მარშრუტიდან მოხსნილთა, თუ, საერთოდ, სტარტზე არ გამოსულთა რიცხვი შეგვეძლო კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ სურათი ისედაც ნათელია! თბილისის 58-ე სკოლის მეათეკლასელმა, პირველთანრიგოსანმა გიორგი გუჯაბიძემ (ჰოლშტაინური ულაყი დევიზი, საქართველოს სპორტსაბჭოს საცხენოსნო ბაზა, მწვრთნელი — ვალერი შელია) შედარებით უკეთესად გაიარა მთელი მარშრუტი (ორი გიტის ჯამი — 18,5) და მესამე ადგილი დაიკავა მუსაევის (წმინდა სისხლის ფაშატი ფაზა) და ოჰანესიანის (წმინდა სისხლის ულაყი ბაზი II) შემდეგ, ორი კონკურის ჯამითაც ადგილები ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მუსაევიცა და ოჰანესიანიც ახალგაზრდა სპორტსმენები ჰყიან, ამ შეჯიბრებამდე ოსტატობის კანდიდატები იყვნენ, ხოლო მათი ცხენების მომზადებამ, თვით მხედრების დაჯერებულმა, გააზრებულმა მოქმედებამ საუკეთესო თაბეშდილება დატოვა, მით უფრო გამართლებული იქნება ამ წერილის გამაფრთხილებელი სათაური.



სხვა მხრივ, როგორც სტუმრებმაც აღნიშნეს, თბილისმა კარგი მასპინძლობა გაუწია ასპარეზობის მონაწილეებს, არადა ცხენ-მხედრების რიგიანად მიღება არცთუ იოლი საქმეა. მგონი, კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ფაქტი, რომ თბილისის იპოდრომს აქვს ყველა პირობა სერიოზული მასშტაბის შეჯიბრებათა ჩასატარებლად; ორგანიზებულად მუშაობდა მსაჯთა კოლეგიაც (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ალექსანდრე დგებუაძე). ერთადერთი შემთხვევა, როცა, როგორც ამბობენ — მსაჯის სასტვენი დუმდაო, ზოგჯერ „გარედან“ კორნახის, პატარა „წაშველების“ დაუნახაობა იყო. ისე აქ, გასაგები მიზეზის გამო, მასპინძლები მეტ აქტიურობას იჩენენ. თუმცა მათ არც სხვებისთვის დაუკლიათ ნამდვილი, წესებით ნებადართული, რაინდული დახმარება; მაგალითად, კროსის ტრასაზე წაქცეული ცხენიდან გადმოვარდნილ ერთ-ერთ სომეხ მხედარს სწორედ ჩვენი საცხენოსნო სკოლის მწვრთნელმა შეუკავა გადარეული ფიცხი ულაყი და ასპარეზობის გაგრძელებაში დაეხმარა. თავისი მოწაფეების პოტენციურ მეტოქეს.

დაბოლოს, ამასაც უნდა შევეხოთ: ასპარეზობას ფაქტიურად მაყურებელი არ ჰყოლია (თუ არ ჩავთვლით თვით ცხენოსნებს; იპოდრომის, საცხენოსნო ბაზის და სპორტული სკოლის მუშაკებს, კვირა დღეს იპოდრომზე შემთხვევით შემსწრე პირებს. ეს საკითხი, საერთოდ, ამ სახეობის პოპულარიზაციას უკავშირდება და ამ მხრივ, როგორც არაერთხელ თქმულა, დიდი მუშაობაა გასაწევი. მაგრამ კონკრეტული რეკლამის თვალსაზრისითაც მიუტევებელი გულგრილობა ნამდვილად გასაკვირია. მე პირადად აფიშა ამ ასპარეზობის შესახებ ყამ ადგილას ვნახე: სამივე იპოდრომის ტერიტორიაზე — საცხენოსნო სკოლის, საცხენოსნო ბაზის თავლისა და დახურული შენგების კარებზე (!). შეიძლება სხვაგანაც იყო სადმე, მაგრამ მისი მნახველი ვერავინ აღმოვაჩინე. ქართულ ენაზე კი ასეთი აფიშა, ალბათ, არც არსებულა! ამ მხრივაც ბევრი რაშია მოსაგვარებელი.

ნოდარ ეგრალიძე.

ფეხბურთი: საყურადღებო ციფრები და რეკორდები „გინესის წიგნიდან“

რეკორდებს შორის, რომლებიც „გინესის წიგნშია“ ფიქსირებული (1988 წლის გამოცემა), არის საფეხბურთოც. ზოგიერთ მათგანს მკითხველებს აცნობს ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“.

გოლები

● შოტლანდიის თასის მატჩში 1985 წლის 12 სექტემბერს „არბროუტისა“ და „ბონ აკორდის“ გუნდებს შორის აღინიშნა ანგარიში 36:0.

● ყველაზე დიდი ანგარიში პირველი დივიზიონის ჩემპიონატებში არის 12:0. ასეთ გამარჯვებას მიაღწია „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ „დარვენის“ წინააღმდეგ 1892 წლის 4 აპრილს და „ნოტინჰემ ჯორსტმა“ 1909 წლის 21 აპრილს „ლესტერ ფოსთან“ შეხვედრაში.

● ორმა ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩებში 7-7 გოლი გაიტანა. ტედ დრეიკმა 1935 წლის 14 დეკემბერს („არსენალი“ — „ასტონ ვილა“) და ჯეიმს როსმა 1888 წლის 6 ოქტომბერს („პრესტონ ნორტ ენდი“ — „სტოკ სიტი“).

● დიქსი დიკმა („ევერტონი“) 60-ჯერ აიღო მოწინააღმდეგეთა კარი 1927-28 წლების სეზონში. შედარებისთვის: მას შემდეგ, რაც ყველაზე კარგი ბომბარდირები „ოქროს ბუცით“ ჯილდოვდებიან, საუკეთესოდ რჩება დუდუ დუმიტრესკუ ბუქარესტის „დინამოდან“ (47 გოლი).

● რეკორდი „სწრაფგატანაში“ ეკუთვნის უილი ჰოლს. ინგლისისა და ირლანდიის ნაკრები გუნდების მატჩში (7:0, 16 ნოემბერი, 1938 წ.). მან ზედიზედ სამი გოლი გაიტანა 210 წამის განმავლობაში.

● 1986 წლის 26 ნოემბრიდან 1987 წლის 31 იანვრამდე კრის ვულსმა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსიდან“ არც ერთი გოლი არ გაუშვა. ეს სერია გაგრძელდა 1196 წუთს. იტალიელმა დინო ძოფმა ნაკრების მატჩებში „შრალად“ დაიცვა კარი 1142 წუთის განმავლობაში (სექტემბერი, 1972—ივნისი, 1974 წ.წ.).

● ერთ-ერთი რეკორდი ეკუთვნის ალფრედო დი სტეფანოსაც. გამოდიოდა რა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში, მან ევროპის თასების მატჩებში გაიტანა 49 ბურთი.

მაყურებლები

● 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდებს შორის რიოდე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე 199.854 მაყურებელი დაესწრო. არაოფიციალური მონაცემებით, ისინი უფრო მეტნიც იყვნენ 205.000.

● ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს (1959-60 წლების გათამაშება) მადრიდის „რეალსა“ და ფრანკფურტის „აინტრახტს“ შორის 135.000 მაყურებელი დაესწრო.

ყველაზე ხანდაზმულები და ყველაზე ახალგაზრდები

● სტენლი მეტიუზი 50 წლისა და 5 დღის იყო, როდესაც უკანასკნელად ითამაშა პირველ დივიზიონში 1965 წლის თებერვალს („სტოკ სიტი“ — „ფულჰემი“). ინგლისის თასის ფინალური მატჩის ყველაზე ხანდაზმული მონაწილეა უოლტერ ჰემპსონი (1924 წ., 41 წლის და 8 თვისა, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ასტონ ვილა“ — 2:2).

● ბილი მერედიტმა 1920 წლის 5 მარტს ითამაშა უელს-ინგლისის მატჩში. მაშინ იგი 45 წლისა და 229 დღისა იყო.

● ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტები ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატში იყვნენ ალბერტ გოლარდი (16 სექტემბერი, 1929 წ.) და კენ რობერტსი (1 სექტემბერი, 1951 წ.). თითოეული 15 წლისა და 158 დღისა იყო.

● დინო ძოფი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1982 წელს (ესპანეთში), როდესაც 40 წლისა იყო.

მოამზადა ნ. ბესალაშვილმა.

● **მონტევიდეოს** „ნასიონალმა“ შარშან და ამ წლის დასაწყისში სამი თასი მოიპოვა. ჯერ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა, მერე საკონტინენტთაშორისო და ბოლოს, სულ ახლახან კონტინენტის სუპერთასი (მოუგო არგენტინის „რესინგს“ 1:0, 0:0). ამ გამარჯვებებს ძნელბედობის ხანა დაეთხვა. ქვეყანას სტოვებს წამყვანი ფეხბურთელები: დანიელ ერნესტო ვარგასი იტალიის „ფიორენტინასთან“ ატარებს მოლაპარაკებებს, კარლოს დე ლიმა ბრაზილიის „ბოტაფოგოში“ დაბრუნდა, სანტიაგო ოსტოლაზა ბოლივიაში გაგრძელებს თავის მაშს, 19 წლის მცველი კარლოს სოკი კი ესპანეთში.

● **შვეიცარიის** „სერვეტში“ მეორე ახალგაზრდობის დრო დაუდგა დასაელეთგერმანელ კარლ ჰაიხც რუმენიგეს. ახლა აქაურ პირველობაში შესვენებაა. პირველ წრეში კი რუმენიგემ 17 გოლი გაიტანა. ამას წინათ მისმა ყოფილმა კლუბმა მილანის „ინტერმა“ სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩზეც კი მიიწვია ვეტერანი. ეჭ, როგორც ცნობილია, ჩვენი ნაკრების შესუსტებულმა შემადგენლობამ ფრედ 2:2 ითამაშა. ერთი ბურთი რუმენიგეს ანგარიშზე გახლდათ.

მიუხედავად ამ წარმატებისა, ფორვარდმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვებს „სერვეტს“, კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე შეარჩია შეშცვლელი. რუმენიგეს შეცვლას... რუმენიგე! დორტმუნდის „ბორუსიაში“ მოთამაშე უმცროსი ძმა მიჰყავლი.

(ხაკ. ინფ.).

„გაზაფხულის მერცხლების“ სიხარული და სინანული

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ საქართველოს წყალში მხტომელები საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებიდან შინ მედლებით ბრუნდებიან.

მედლებს ველოდით ერევანში გამართული დიდი საერთაშორისო ტრადიციული ტურნირიდანაც, რომელიც „გაზაფხულის მერცხლების“ საზეიმოდ ცნობილი და მონაცვლეობით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იმართება.

სამწუხაროდ, ამ ფრიად პრესტიჟული ასპარეზობიდან, რომელშიც 19 ქვეყნის, მათ შორის მსოფლიოში წყალში ხტომის ადიარებული ლიდერების ჩინეთის, გდრ-ის, საბჭოთა კავშირისა და სხვათა წარმომადგენლები გამოდიოდნენ, საქართველოს სპორტსმენები უმეტესად დარჩნენ.

მიუხედავად ამისა, პირდაპირ ვიტყვით, ჩვენი წყალში მხტომელების გამოსვლით კმაყოფილები უნდა ვიყოთ.

წინათ, თუ ამ ასპარეზობაში ერთი-ორი თბილისელი სპორტსმენი გამოდიოდა, ახლა მათი რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. ჩვენი წყალში მხტომელებიდან ტურნირში გამოსვლის პატივი წილად ხვდათ ანა როსტიაშვილს, დიანა მჭედლიძეს, ნანა ნებიერიძეს, გოჩა გახარიასა და გიორგი შელიუგოვს, რომლებიც თავიანთი ლიდერის გიორგი ჩოგოვაძის მეთაურობით ასპარეზობდნენ.

მათ ამ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება ერთი თვის წინათ თბილისში გამართული საკავშირო ჩემპიონატისა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ჩარიზე ჩატარებული ასპარეზობების შედეგების მიხედვით მოიპოვეს. ასეთივე უფლება მოიპოვა ყველა იმ სპორტსმენმა, ვინც უძლიერეს ექვსეულში მოხვდა.

შეგახსენებთ, მაშინ ჩოგოვაძემ, შელიუგოვმა, მჭედლიძემ და როსტიაშვილმა საერთო ჯამში, ცხრა, მათ შორის სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს, მედალი დაისაკუთრეს.

მათ რომ თბილისში ასეთი ბარაქიანი ნადავლი, ეგრეთ წოდებული, საკუთარი კედლების წყალობით არ მოუპოვებიათ, ეს ერევანში გამართულმა. დიდმა ტურნირმაც დაადასტურა. თუმცა, როგორც ვთქვით, სომხეთის დედაქალაქიდან ჩვენი სპორტსმენები უმეტესად დაბრუნდნენ.

საქმე ისაა, რომ თბილისელი სპორტსმენები, საბჭოთა სპორტსმენთა შორის, კვლავ უძლიერესთა შორის დამკვიდრდნენ. მაგალითად, ანა როსტიაშვილმა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მეოთხე ადგილი დაიკავა, საბჭოთა სპორტსმენთა შორის კი მეორე შედეგი აჩვენა.

დიდ ქებას იმსახურებს თხუთმეტი წლის თბილისელი გოჩა გახარიას გამოსვლაც. რომელმაც წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მეორედ სცადა ძალა და შარშანდელთან შედარებით წინ დიდი ნაბიჯი გადადგა. ახლა, ერევანში, მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ჭიდილში, კოშკიდან ხტომაში, ფინალამდე მიაღწია და მერვე ადგილი დაიკავა, ხოლო საბჭოთა სპორტსმენთა შორის მისი შედეგი მეოთხე აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, ჩვენმა სპორტსმენებმა თბილისში მოპოვებული პოზიციები შეინარჩუნეს.

და მაინც, „გაზაფხულის მერცხლებიდან“ მედალს ველოდით, ველოდით გიორგი ჩოგოვაძისაგან, რომელმაც ასპარეზობის წინ, სამწუხაროდ, მოთელვისას ტრავმა მიიღო.

ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი უნდა გამოსულიყო ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც კარს მოგვადგა და მანამდე ჩოგოვაძის გამოჯანმრთელება შეუძლებელია.

საბედნიეროდ, კარს მომდგარი სხვა დიდი საერთაშორისო ასპარეზობები უთბილისელებოდ მაინც არ ჩაივლის — ერევანში გამართული ტურნირის შედეგების მიხედვით ანა როსტიაშვილმა, დიანა მჭედლიძემ და თოთხმეტი წლის ნანა ნებიერიძემ აპრილში ინდიანაპოლისში (აშშ) მსოფლიო თასის გათამაშებაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკა ასე ფართოდ პირველად იქნება წარმოდგენილი.

ამას გარდა, გოჩა გახარია ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების ღირსებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან სამატჩო შეხვედრაში დაიცავს.

ეს ორივე შეჯიბრება აპრილის დასწყისში გაიმართება.

ავთანდილ ბურასაშვილი.

სიმეტრია — ასიმეტრია

გეომეტრიული ფიგურის თავისებურება, რომელიც მთელის ნაწილების სრულ შესაბამისობას გამოხატავს შუა ბაზის ან ცენტრის მიმართ, სიმეტრიის სახელით არის ცნობილი. იგი სახვითი ხელოვნების და არქიტექტურული ნაწარმოების ჰარმონიული კომპოზიციის ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომ მან, როგორც ემოციური ზემოქმედების გარკვეულმა ელემენტმა, საუცხოო ნიადაგი ჰპოვა საშაჭრაკო კომპოზიციაში, სადაც სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები უხვად აისახება 64- უჯრიანი დაფის სიბრტყეზე. სახვითი ამოცანებისაგან განსხვავებით, რომელთა უმრავლესობაც მარტივი შინაარსისაა, სიმეტრიული ტიპის ამოცანებს უფრო ფართო სიუჟეტური შესაძლებლობები აღმოაჩნდათ. განვიხილოთ ერთი მათგანი.

ა. ფინკი, 1917



შამათი 2 ხვლაში

საწყისი მდგომარეობის სიმეტრიულობა აშკარაა. პირველი სვლის 1. ლd2! შემდეგ პოზიციის სიმეტრიულობა არ ირღვევა. შავებს ცუგცვანგი აქვთ და მხოლოდ შავ მხედარს შეუძლია თამაში, თანაც სიმეტრიული:

ოთხჯერ — მარჯვნივ და ოთხჯერ — მარცხნივ, რაც მთლიანობაში წრეს კრავს და კომპოზიციაში „მხედრის ბორბლის“ თემის სახელით არის ცნობილი. საინტერესოა ვარიანტი 1...ძc7 2. კc5X (უჯრის ბლოკირებით). დანარჩენი ვარიანტების მოძებნაც არ უნდა იყოს ძნელი მკითხველებისათვის. შევნიშნავთ, რომ სიმეტრიული ამოცანისათვის დამახასიათებელია ეჩოვარიანტები და ეჩო-შამათები.

მკითხველმა, ბუნებრივია, შეიძლება იფიქროს, რომ თუ თეთრების პირველი სვლის შემდეგ ფიგურების განლაგების სიმეტრიულობა დაირღვევა, ამოცანას შეიძლება მეორე ამოხსნა გაუჩნდეს. მაგრამ როგორც ირკვევა, საშაჭრაკო დაფის სიმეტრიულობის გარდა, ბევრი ღერძის მიმართ ასიმეტრიულობაც ახასიათებს და ეს გარემოება თანაამოხსნის საშიშროებას სპობს. პირიქით, იმ გარემოებამ, რომ დაფის წარმოსახვითი სიმეტრიული ღერძი ხშირად არ თანხვდება ფიგურების სიმეტრიული განლაგების ღერძს, პრობლემისტებს მეტად ორიგინალური და საინტერესო თემის დამუშავებისკენ უბიძგა.

თ. დოუსონი, 1924



შამათი 2 ხვლაში

როგორც ვხედავთ, ფიგურების განლაგება სიმეტრიულია „e“ ვერტიკალური ღერძის მიმართ. ამოცანას ხსნის 1. d4! (შეჭართ 2. ლ:e5X) მ—2. d5X, 1. ...მd5 2. ლg4X, მაგრამ სიმეტრიული 1.f4? მცდარი კვალის [illegible] სვლის გამო. მაშასადამე, ეს სიმეტრიული ღერძი ერთადერთი არ არის. ვინაიდან დაფის ეს ღერძი ასიმეტრიული აღმოჩნდა განლაგებული ფიგურების მიმართ. შევნიშნავთ, რომ გამოჩენილი ინგლისელი პრობლემისტის ამ ნაწარმოებს მეორე ტყუპისცალიც გააჩნია. თუ დიაგრამაზე b4 და h4 შავ პაიკებს b2 და h2 უჯრებზე გადავსვამთ, ორსვლიანი ამოცანის ამოხსნა იქნება: 1.f4! ხოლო მცდარი კვალი კი — 1.d4? ლ:a5!

თემას, სადაც თამაშის მთავარი იდეა დაფის ასიმეტრიულობაზეა აგებული, „ასიმეტრია“ ეწოდება. თომას დოუსონის გარდა ამ თემაზე დიდი წარმატებით მუშაობდა საამოცანო კომპოზიციის მეორე კლასიკოსი ვოლფგანგ პაული. აღსანიშნავია, რომ ორივემ ამ თემას სპეციალური კოლექტიური წიგნი „ასიმეტრია“ მიუძღვნა, რომელიც 1927 წელს გამოიცა. ამ კრებულიდან მოგვყავს ხუთსვლიანი ამოცანა, ვფიქრობთ, მისი იდეა საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისათვის.

პ. პაული, 1914



შამათი 5 ხვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიბინაძე

თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილება აცხადებს, რომ ა. წ. 28 მარტიდან 10 აპრილამდე მოეწყობა ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები. კურსებზე მიიღებიან ახალგაზრდები 30 წლის ასაკამდე, მეცადინეობა დაიწყება საღამოს 18.30 საათიდან.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის მოწმობა (ფიზკულტურის დისპანსერიდან) და განცხადება კურსებზე ჩარიცხვის შესახებ.

განცხადებების მიღება სამუშაო დღეებში — 10-დან 18 საათამდე თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის განყოფილებაში.

მისამართი: კონსტიტუციის ქ. №6, ტელ. 95-79-21.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადების ფასიან კურსებზე ა. წ. აპრილიდან მეორე ნაკადში იწყებს მიცადინეობას შემდეგ სახეობებში.

1. საერთო ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა, რიტმული ტანვარჯიში, ცურვა, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, ბადმინგტონი, ველოსპორტი, მაგიდის ჩოგბურთი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზმომზადება, სპორტული მასაჟი.

მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ კურსების დირექციის არა უგვიანეს ა. წ. 25 მარტისა.

ცნობილებითი ცნობები: ფაკულტეტის დეკანატში.

მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. ტელ: 23-32-69.

ბოლო ტურის წინ

ერთი ტურიც და დამთავრდება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის შეორე ეტაპი. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მე-13 ტურის შეხვედრა ცსკა-მ შინ დამმო იუგოსლავიის „იუგოპლატიკასთან“ 77:91.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ლიმოჟი“ (საფრანგეთი)—„არისი“ (საბერძნეთი) 115:106, „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „მაკაბი“ (ისრაელი) 88:91, „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „სკავოლინი“ (იტალია) 71:70.

ბოლო ტურის შეხვედრებს პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე აღარც ექნება, ვინაიდან ნახევარფინალისტთა ვინაობა ცნობილია. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას აგრძელებენ: „მაკაბი“, „ბარსელონა“, „იუგოპლასტიკა“ და „არისი“. საბოლოო ცხრილი კი მე-14 ტურის წინ ასე გამოიყურება.

„მაკაბი“	13	11	2	24
„ბარსელონა“	13	10	3	23
„იუგოპლასტიკა“	13	8	5	21
„არისი“	13	8	5	21
„ლიმოჟი“	13	6	7	19
„სკავოლინი“	13	4	9	17
ცსკა	13	3	10	16
„ნაშუა დენ ბოში“	13	2	11	15

ლიდერობს „კლივლენდ კავალიერსი“

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) ბოლო ტურის შედეგებიდან პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს „ატლანტა ჰოუქსის“ დამაჯერებელი გამარჯვება „ჩიკაგო ბულსთან“. მაიკლ ჯორდანის გუნდის ასეთ გამანადგურებელ მარცხს, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა. მომხმხილველების აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ატლანტამ შეძლო მაიკლ ჯორდანის (18. ქულა) ნეიტრალიზება. ვაშინგტონმა თავის მოედანზე დაამარცხა ატლანტიის ოკეანის დივიზიონის ლიდერი, ნიუ-იორკი 130:127. ბოლო მატჩებს აღმოვლობით თამაშობს „გოულდენ სტეიტ უორიორსი“. მან ჯერ იყო და დეტროიტი დაამარცხა (121:119), ხოლო შემდეგ კი დალასში დიდი ანგარიშით მოუგო „დალას მავერიქსს“ 127:92. რაც ასევე შეიძლება ბოლო ტურის მოულოდნელობას მიეკუთვნოს. ჩიკაგომ სძლია ჰიუსტონს, რომელსაც ვერ უშველა აკამის (29 ქულა, 25-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლტილ ბურთს) კარგმა თამაშმა. მაიკლ ჯორლანდმა გუნდს შესძინა 33 ქულა. დამარცხებათა გაქიანურებული სერიის შემდეგ, ეს მიმოხმხილველთა აზრით, დაკავშირებული იყო „მაჯიკ“ ჯონსონის ავადმყოფობასთან, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ შეძლო ძველი კონკურენტის „ბოსტონ სელტიქსის“ დამარცხება — 119:100, თუმცა შემდეგ ტურში სასტიკი მარცხი იწვნია „იუტა ჯაზისთან“ შეხვედრაში — 79:105, ამ მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო იუტას მცველი სტოკტონი (19 ქულა, 13 საგოლე გადაცემა) და კარლ მალონე (18), „დალას მავერიქსის“ გამარჯვება ვაშინგტონთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ადრიან დენტლის (32 ქულა) ჩინებულმა თამაშმა.

სატურნირო ცხრილში შექმნილი ვითარება ასეთია: წყნარი ოკეანის დივიზიონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ (36 გამარჯვება), „ფენიქს სანზი“ (34), „სიეტლ სუპერსონიქსი“ (32), „გოულდენ სტეიტ უორიორსი“ (30), „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“ (25), „საკრამენტო კინგსი“ (15), „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ (11). ატლანტიის ოკეანის დივიზიონი: „ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი“ (37), „ფილადელფია 76“ (29), „ბოსტონ სელტიქსი“ (25), „ვაშინგტონ ბულიტსი“ (21), „ნიუჯერსი ნეთსი“ (21), „შარლოტ“ (15). ცენტრალური დივიზიონი: „კლივლენდ კავალიერსი“ (41), „დეტროიტ პისტონსი“ (35), „ატლანტა ჰოუქსი“ (34), „მილუოკი ბაქსი“ (33), „ჩიკაგო ბულსი“ (32), „ინდიანა პეისერსი“ (13), შუა დასავლეთის დივიზიონი: „იუტა ჯაზი“ (33), „ჰიუსტონ როკეტსი“ (31), „დენვერ ნაგეთსი“ (30), „დალას მავერიქსი“ (28), „სანტ-ანტონიო სპურსი“ (13), „მიამი“ (8).

მერაბ კალანდაძე.

„სპორტპროგნოზი“

ბპორტლოტო ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 11-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 11-12 მარტს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.887.049 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (205) მოგება 381 მანეთია, 12 შედეგის ჭგამოცნობისთვის (5.914) — 26 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (56.990) — 9 მანეთი.

საქართველოში 13 შედეგი გამოიცნო 14-მა კაცმა (12— თბილისი, 1 — გორი, 1 — ბათუმი), 12 — 375-მა, 11 — 3134-მა.

მე-11 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 1-დან 30 აპრილის ჩათვლით.

• • •

ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალების საპასუხო მატჩებზე შედგენილი სპეციალური (02) ტირაჟის შედეგები

1-1, 2-1, 3-X, 4-X, 5-1, 6-1, 7-X, 8-X, 9-1, 10-1, 11-1, 12-1, 13-X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„ბავარიისა“ და „ჰარტსის“ შეხვედრა, რომელიც 15 მარტს იყო დანიშნული, უეფა-ს გადაწყვეტილებით გაიმართა 14 მარტს, ე. ი. მოცემულ ტირაჟზე ბილეთების მიღებისა და მათი სეიფებში შენახვის შემდეგ; ასევე 15 მარტს დანიშნული „რეალისა“ და „შტუტგარტის“ მატჩი ჩატარდა 16 მარტს. ამან გამოიწვია სპეცტირაჟის ვადების გაგრძელება. ამასთან დაკავშირებით სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველო გაუწყებთ, რომ ამ მატჩების შედეგები, რომლებიც ტირაჟში ჩართული იყო, მე-10 და მე-11 ნომრებით ითვლება ძალაში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-28, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ანგარიში 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსებში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07145